ენა, მამული, სარწმუნოება

კარიბჭეები

გაზეთი „გარეჯის მარცვალი" დამატება №3. აგვისტო, 2012წ.

ქალაქ საგარეჯოს ტოპონიმები

ძვირფასო საგარეჯოელებო!

სამშობლო, ჩვენი მიწა–წყლიდან იწყება. სწორედ იქიდან, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ და ჩამოვყალიბდით სრულფასოვან ადამიანებად–ამის შეხსენება არავის სჭირდება. ყოველდღიური საზრუნავ–საფიქრალი დროს აღარ გვიტოვებს–მიმოვიხედოთ ირგვლივ, დავტკბეთ მშობლიური გარემოს ლამაზ–ლამაზი ხედებით, ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს გავაცნოთ, ავუხსნათ, თავისებურად შევაყვაროთ ის ადგილები, რომელთაც აქ ოდესღაც თუ ახლა მცხოვრებმა ადამიანებმა შესაფერისი, იქნებ მოსაფერებელი სახელებიც შეარქვა. მოდით, მიმოვიხედოთ დაკვირვებული თვალით ირგვლივ, გავიხსენოთ ამ მთის სახელი, რომელიც ამაყად დაჰყურებს და დარაჯად უდგას ჩრდილოეთის ქარებისგან დასაცავად საგარეჯოს, იმ ბარაქიანი ზვრის, სადაც ქართველი ერის უძლეველობისა და უკვდავების სიმბოლო ვაზი ხარობს, იმ სახელგანთქმული, გემრიელი წყაროების, რომლითაც გარეჯელები თავს ვიწონებთ ერთმანეთთან და სტუმრებთან, იმ ტყეების, რომლებიც სიცხე–პაპანაქებაში გვიფარავს ხვატისაგან, იმ გორის, რომელიც უამრავ საიდუმლოს, საგმირო–სასახელო ამბებს ინახავს ჩვენი წინაპრებისას და ვუთხრათ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს: საბას, ლუკას, დავითს, რატის, დაჩის, გიორგის, ნიკოლოზს, ზურაბს, ერეკლეს, ცოტნეს, თორნიკეს, სალომეს, თამარს, ნინოს, მარიამს, ანას, რომ ეს მთაც და ეს მინდორიც, ეს ტყეც და ეს ველიც, ეს გორაც და ეს ნასოფლარიც მათია, მათი მარჩენალი და მათივე საპატრონებელი...

მაშ, ასე, დღეს ამ ჟურნალის ფურცლებზე გთავაზობთ მხოლოდ საგარეჯოს–2012წელს იუბილარი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებს, რომლებიც დიდი რუდუნებით, თითქმის 70 წლიანი მძიმე, შრომატევადი საქმიანობით ჩვენმა თანამემამულემ, ისტორიკოსმა, ჟურნალისტმა, საზოგადო მოღვაწემ და ყოველივე ქართულის, საქართველოს , საგარეჯოს დიდმა გულშემატკივარმა და ჭირისუფალმა ბატონმა ალექსანდრე ელერდაშვილმა შეგვიბრუნა, შემოგვინახა და სიხარულით მოგვაწოდა, რისთვისაც ჩვენი ჟურნალის მკითხველის სახელით დიდ მადლობას ვუხდით.

ძვირფასო მკითხველო, ამ პატარა ჟურნალში თუ სრულად ვერ ავსახეთ ქალაქის ტოპონიმები ბოდიშს მოგიხდით და ამასთან ერთად დიდი სიამოვნებით გელოდებით რედაქციაში სასაუბროდ და თქვენეული ვერსიების, ვარიანტების მოსასმენად და შემდგომში გამოსაქვეყნებლად.

ველით თქვენს გამოხმაურებებს.

რედაქცია

ალექსანდრე ელერდაშვილი

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ელერდაშვილი დაიბადა 1928 წელს სოფ. პატერძეულში. იგი თავისი მშობლების მეთერთმეტე შვილი იყო.

პატარძეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, საერთაშორისო განყოფილების განხრით გააგრძელა, რომელიც 1954 წელს დაამთავრა.

სხვადასხვა დროს ბატონი ალექსანდრე მუშაობდა პარტიულ და სამეურნეო სამსახურებში. იყო რიონული გაზეთ "სტალინური სიტყვის" რედაქტორის მოადგილე, პარტრაიკომის აგიტაცია–პროპაგანდის განყოფილების გამგე, რაიონული გაზეთის "ივრის განთიადის" რედაქტორი, განათლების რაიონული განყოფილების გამგე და სხვ.

მას დამსახურებულად აქვს მინიჭებული საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოფილის (მწიგნობრის) საპატიო სახელი.

ბატონი ალექსანდრე სამი წიგნისა და ათასობით ისტორიულ-ლიტერატორული გამოკვლევის ავტორია, ზემდგომი ორგანოების მიერ დაჯილდოებულია უამრავი მედლით, სიგელით და სხვა წამახალისებელი საჩუქრებით.

მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ბატონი ალექსანდრე ახლაც ნაყოფიერად მოღვაწეობს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჟურნალის გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო
დ. აღმაშენებლის ქ. № 15

ჟურნალი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

რედაქტორი:
თინათინ ილაური

ქალაქის ტერიტორიაზე გავრცელებული ტოპონიმები

ნასოფლარი:

სათივარა
ჟატი
მელიქური
ტყე ვაკე
სათონეები

ადგილი:

კოკონაური
კოსტაფე
პლატინა
მოსაცური
ხატიკაკლები
ნამძვლევები
აზარიანთნაწისქვილარი
ჯაბადრიანთნაწისქვილარი
წაწნიასნაწისქვილარი
ფოლადანთნაწისქვილარი
მარიხანთნაწისქვილარი

მინდორი:

საბერძნეთი
ნაომარი
ზვარი
გოლგოთები
სატაცურხევიანი
სააღალო
ფუტკრისხევი
ყაზახა
ყაზანიანი
წიტიან გორა
ვაკე უბანი
ვაშლიანი

გორა:

ნაომარგორა
შუაგორი
კოშკისგორა
წოპწოპინაგორა
ფანოზიანთგორა
პეტრე–პავლესგორა
მელიგორა

მთა:

ცივი
ელიას მთა

კლდე:

ბებერი კლდე
ლოლოს ტინები

ტყე:

სათავე
დათვის საცხვერე
სათონეები

ჭალა:

სახოხბის ჭალა
ივრის ჭალა

წყარო:

პაპალას წყარო
მახიას წყარო
კოდის წყარო
თუშის წყალი

მდინარე:

თვალთხევი
წიფლისხევი
ტიკიაურა
ღელე
ლეკიაურა

დასახლება:

გაღმაუბანი
ქურხულიანთუბანი
ქვლივიძიანთუბანი
ფორესუბანი
ესაიანთუბანი
ილაურიანთუბანი
კუჭუანთუბანი
კოხტანთუბანი
დოდოსუბანი
სომხის უბანი
კოპრომაანთ უბანი
ქურდაანთ უბანი

„კოკონაური“

ტოპონიმიკა ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ადგილის სახელწოდებას, ანუ ქართულად ‘ადგილის დედას“. ყველა გეოგრაფიულ სახელწოდებას აქვს თავისი ისტორია, თანაც – სახელოვანი ისტორია, რითაც ამაყობს. ასეთ ტოპონიმს, ‘ადგილის დედას“ წარმოადგენს საგარეჯოს და გიორგიწმინდის გზასაყარზე აგარაკი და მამული ‘კოკონაური“, რომელიც ამჟამად მთლიანად საგარეჯოს საზღვრებშია მოქცეული.

დღევანდელი ‘კოკონაური“ მდებარეობს ქალაქ საგარეჯოს სამხრეთ-აღმოსავლეთით და მისი საზღვრებია ჩრდილოეთით კახეთის მთავარი საავტომობილო გზატკეცილი, რესტორან ‘სახალხო სახლიდან“ ‘ალინჯამდე“, აღმოსავლეთით სადგურის დასახლებამდე, დასავლეთით რესტორან ‘სახალხო სახლიდან“ ადგილ ‘კოსტაფემდე“ და ასევე ქ. საგარეჯოს კახეთის რკინიგზის დასახლებამდე; სამხრეთით რკინიგზის სადგურის დასახლებამდე და ადგილ ‘ნასადგომარის“ დასახლებამდე.

‘კოკონაური“ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ჩვეულებრივ აგარაკ-მამულს წარმოადგენდა, სადაც საგარეჯოელ და გიორგიწმინდელებს ვენახები და ბაღ-ბოსტნები ჰქონდათ გაშენებული, ხოლო მას შემდეგ, რაც დაბა საგარეჯო 1962 წლის ბოლოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გადაიქცა, აგარაკ ‘კოკონაურის“ ცხოვრებაშიც ახალი ერა დაიწყო. მას შემდეგ, რაც საგარეჯო ჯერ სოფლიდან დაბად გადაკეთდა 1954 წლიდან, ხოლო – ქალაქად 1962 წლიდან, საგარეჯოს მოსახლეობა გაიზარდა, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული მატებით, ისე მეზობელი სოფლებიდან მოსახლეობის საგარეჯოში დასახლებით, აგარაკი ‘კოკონაური“ ფაქტიურად შეერწყა ქალაქის ფარგლებს და მისი შემადგენელი ნაწილი გახდა.

თვით ტოპონიმი ‘კოკონაური“ წარმოსდგება სიტყვა ‘კოკონაურისგან“ რაც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი განმარტებით ნიშნავს აბრეშუმის ყაჭის ჭიის ერთ-ერთი სახეცვლილების კოკონა ჭიას. როდესაც აბრეშუმის ჭია-კოკონა ჭიის ზრდის პროცესში ექცევა, მას განსაკუთრებული ხარისხის ფოთლით კვებავენ, რომელსაც უფრო მეტი კვებითი ღირებულება აქვს, ასეთი თუთის პლანტაციები განსაკუთრებული ნიადაგის შერჩევას და მოვლას საჭიროებდა. სწორედ ასეთი ნიადაგის შემცველი იყო მიწის ის ნაკვეთი, რომელსაც უხსოვარი დროიდან დაერქვა ტოპონიმი კოკონაური.

მეაბრეშუმეობა უწინდელ საქართველოში სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა და დიდ შემოსავალს აძლევდა როგორც სახელმწიფოს, ისე თითოეულ ქართულ ოჯახს, ამიტომ მეაბრეშუმეობა წამყვან სამეურნეო დარგს წარმოადგენდა.

თუ რამდენად პოპულარული იყო მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ წარმართულ, ანტიკურ სამყაროში, სახალხო, სარიტუალო დღესასწაულიც კი იყო დაწესებული, რომელსაც ‘ჭიაკოკონობა“ ეწოდებოდა და ფართოდ აღინიშნებოდა გაზაფხულის პერიოდში, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, ჭიაკოკონობა ქრისტიანობამაც დიდ ეროვნულ დღესასწაულად გადმოიტანა და ეს სარიტუალო დღესასწაული საზეიმოდ აღინიშნებოდა აღდგომის წინა ოთხშაბათს (დამით) და ამ სადღესასწაულო ოთხშაბათს ‘დიდი ოთხშაბათი“ ეწოდებოდა. დანთებული კოცონები სიმბოლურად მიმართული იყო ბოროტი მწერებისა და კუდიანების წინააღმდეგ. კოცონების დანთებაში ყველა მონაწილეობდა, დიდებიც და პატარებიც. დანთებულ კოცონზე ყველა ცდილობდა გადამხტარიყო. თვითონ ამ დღესასწაულის სახელწოდება ‘ჭიაკოკონობა“ მთლიანად მეაბრეშუმეობასთან არის დაკავშირებული, საბას ლექსიკონის მიხედვით “ჭია“ ნიშნავდა აბრეშუმის ჭიას, ხოლო კოკონა ამ ჭიის საჭუპრედ მომზადებულ მატლს (ჭიას), რომელიც საჭუპრედ იყო გამზადებული, რათა აბრეშუმის პარკად გადაქცეულიყო, ამიტომ ეს კოკონა იმდენად პატივსაცემი, საყვარელი არსება იყო, რომ მის პატივსაცემად გიორგიწმინდისა და საგარეჯოს ყველაზე ნაყოფიერ მიწას, სადაც თუთის პლანტაციები იყო გაშენებული ‘კოკონაური“ ეწოდა.

გადიოდა წლები და საუკუნეები, იყო მშვიდობა და აღორძინება, იყო ომები და გაჭირვებაც, მაგრამ მეაბრეშუმეობა საქართველოში იყო ერთ-ერთი წამყვანი დარგი და ვალუტის შემომტანი მთავარი წყარო, ამიტომ მეაბრეშუმე სპეციალისტებიც მრავლად იყვნენ გარე-კახეთიდან. მეაბრეშუმეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული გარე-კახეთში ჭიაბერაშვილების გვარის წარმოშობაც, რომელიც ისე დაწინაურდა თამარის ეპოქაში, რომ ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ საგვარეულოდაც კი ჩამოყალიბდა.

თუ წინა საუკუნეებში მეაბრეშუმეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენდა, ახლა თითქმის მოისპო ეს შემოსავალი სოფლის მეურნეობის დარგში და მხოლოდ მოგონებად დარჩა. აგარაკმა ‘კოკონაურმაც“ დაკარგა თავისი ფუნქცია. იგი ახლა ქალაქ საგარეჯოს ერთ-ერთ ჩვეულებრივ უბანს წარმოადგენს.

აგარაკ ‘კოკონაურის“ მყუდროება მხოლოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაირღვა, როდესაც 1884 წელს თბილისიდან კახეთში მიმავალმა სამხედრო-სატრანზიტო გზამ სართიჭალიდან საგარეჯო-მანავის მხარეს გადმოინაცვლა, ხოლო 1912-1915 წლებში კახეთის რკინიგზამ ‘კოკონაურის“ ბოლოზე გამოიარა და აქვე, ‘კოკონაურის“ ფართობზე, რკინიგზის კახეთის მონაკვეთზე წარმოიშვა სადგურის დასახლება.

‘კოკონაურის“ ტერიტორიაზე ბოლო წლებში ფართო სამშენებლო ინდუსტრიის დროს მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ ახალი სიტყვა თქვა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიაში. ‘კოკონაურის“ ტერიტორიაზე და საერთოდ გარე-კახეთში ჩვენს წინაპრებს უცხოვრიათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 და მე-3 ათასწლეულებიდანვე და დიდი კულტურაც ჰქონიათ.

‘კოკონაური“ წერილობითი დოკუმენტებითაც აქტიურად ყოფილა ჩარ-

დასასრული მეექვსე გვერდზე

6 • • •

გალმაუბანი

ქალაქი საგარეჯო განფენილია მდინარე თვალთხევის ორივე სანაპიროზე არსებულ მთებს შორის მოთავსებულ ტაფობზე და მისი განფენილობა ჯვარს მოგვაგონებს. ამ ჯვრის მარჯვენა ფრთა თვალთხევიდან ნინოწმიდის მიმართულებით მიემართება, ხოლო მარცხენა ფრთა თვალთხევიდან აღმოსავლეთით გიორგიწმინდისკენ არის მიმართული, ხოლო ამ ჯვრის ღერძი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა განფენილი.

ქალაქს ძველთაგანვე შუა ჰყოფდა მდინარე თვალთხევი. ჩრდილოეთიდან ჩრდილო დასავლეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან ქალაქს ზემოდან დაჰყურებს ტყით შემოსილი მთები – ბებერი კლდე, თავწმიდა გიორგისა და ელია წინასწარმეტყველის მთები.

გაღმაუბანი იწყება ტყე – პარკ "სათავიდან" და მთავრდება ნინოწმიდის საზღვართან "ქანანას" ხევის მარცხენა სანაპიროთი.

გაღმაუბანი გეოგრაფიულად დანაწევრებულია პატარა–პატარა ღელე – ხევებით, რომლებიც სათავეს იღებენ წმიდა ელია წინასწარმეტყველის მთიდან. ამ ღელე - ხევებიდან ყველაზე მოზრდილია ტოპეშაურას და კოტომაანთ ხევები, რომლებიც გაღმაუბანშივე ერთიანდებიან და ერთვიან მდინარე თვალთხევს.

ისტორიულ წარსულში გაღმაუბნელები უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ წმიდა ელია წინასწარმეტყველის მთის სამხრეთის და ჩრდილო – სამხრეთის ფერდობებზე, სადაც ახლა გაღმაუბნელთა და საგარეჯოელთა სასაფლაოებია განლაგებული, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან გაღმაუბნელები უფრო დაბლა ვაკობზე ჩამოსახლდნენ, სადაც ახლაც ცხოვრობენ.

გაღმაუბანს ადრე, წინასაუკუნეებში "დაღმა თვალს" უწოდებდნენ, ვინაიდან არსებობდა გამოღმა "თვალიც" და ამ დიდ დაბა-სოფელს კრებითად მრავლობით რიცხვში მოიხსენიებდნენ . ისე კი, ორივე დასახლებას "თვალნნი" ეწოდებოდა. ხოლო მას შემდეგ, ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან ახლანდელ საგარეჯოს ჩამოსცილდა ტოპონიმი "თვალნნი" და დავით გარეჯის მონასტრების აღმნიშვნელად ეწოდა "საგარეჯო", ამის შემდეგ მის მარჯვენა სანაპიროს გაღმაუბანი დაერქვა.

გაღმაუბნის მოსახლეობა ეთნიკურად მთლიანად ქართველებისგან შედგებოდა და უბან-უბან კომპაქტურად იყო დასახლებული გვარების მიხედვით. ეს გვარები იყო შაქარაშვილები, მამამთავრიშვილები, ფანოზიშვილები, თედიაშვილები, მამისაშვილები, ციციშვილები, კურდღელაშვილები, როსტიაშვილები, ქურთიშვილები, კავთუაშვილები, მამარდაშვილები, ფურცელაძეები, ურდულაშვილები, ლაფერიშვილები, სულიკაშვილები, ტიგინაშვილები, თულაშვილები, მათიაშვილები, ჩეკურაშვილები, კვერაშვილები, ჭიაურელები, დარისპანაშვილები და სხვები.

ეპარქიალურად გაღმაუბნელთა ნაწილი ნინოწმიდელი ეპისკოპოსის მრევლში შედიოდნენ, ნაწილი კი დავით გარეჯის მონასტრის ყმები იყვნენ.

გაღმაუბნელებს დიდი და სახელოვანი ისტორია აქვთ. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც მთელ ქართლ – კახეთს რისხვად დაატყდა შაჰ–აბაზის მრისხანე შემოსევები, ომში გადარჩენილი და ტყვედ აყვანილი საგარეჯოელები ირანის პროვინცია მაზანდარაში გადაასახლეს, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი გაღმაუბნელები საქართველოს სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოსახლდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებიდან.

გაღმა "თვალელთა" მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია წმიდა შიოს, "ყვავიანის ღვთისმშობლის", "პეტრე-პავლეს' და ღვთისმშობლის ეკლესიები. ამათგან, როგორც მაღალი არქიტექტურული ღირსების მქონე ეკლესია პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაა, რომელიც 1710-1712 წლებში აღაშენა დავით გარეჯის სახელოვანმა წინაპარმა ონოფრე მაჭუტაძემ (1690-1736წ.წ). ონოფრე მაჭუტაძე თავის ერთ-ერთ ანდერძში აღწერს, რომ მან '...ნადარბაზევზე" აღაშენა პეტრე -პავლეს სახელობის ეკლესია და შეამკო ხატითა, სიწმინდის ნიშნებითა და წიგნებითა."

ეკლესია მშენებლობის უნატიფესი სტილითაა აშენებული და ამ ეკლესიაში 1930-იან წლებამდე უწყვეტად აღევლინებოდა წირვა–ლოცვა, რომელსაც დეკანოზის ხარისხში ხელდასხმული მოძღვარნი სწირავდნენ. აქვე, პეტრ–პავლეს ეკლესიის გვერდით არსებობდა კეთილმოწყობილი მარანი და სასტუმრო დავით გარეჯის ბერებისათვის. სამწუხაროდ, ეს მაღალი სტილის არქიტექტურული ნაგებობა მიტოვებული აქვს საქართველოს საპატრიარქოს და იქ წირვა–ლოცვა არ ტარდება.

გაღმაუბანმა საუკუნეების მანძილზე მრავალი ღირსეული მამულიშვილი მისცა საქართველოს.

დღევანდელი გაღმაუბნელები ამაყობენ თავისი წიაღიდან გამოსული ისეთი მამულიშვილებით, როგორებიც არიან მსოფლიოს მრავალგზის ჩენპიონი, ბეჭდაუდებელი ფალავანი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ლევან თედიაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი, პროფესორი ალექსანდრე ურდულაშვილი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი–კერამიკოსი შოთა ციციშვილი, საქვეყნოდ ცნობილი კინო–რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, პროფესორი თეზიკო სულიკაშვილი, პოეტი დავით ტიგინაშვილი და სხვ.

გაღმაუბნელები ცნობილი მოჭიდავეები იყვნენ ძველთაგანვე, მაგრამ, სამწუხაროდ, ხსოვნამ მხოლოდ ზოგიერთების სახელები შემოინახეს, დღესაც ლეგენდადაა ქცეული "თამარაანთ კოლას'– ნიკოლოზ თულაშვილის მოხდენილი ჭიდაობა.

გაღმაუბნელებს "თაქლელებსაც" უწოდებენ, მაგრამ ბევრმა არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ამ სიტყვას ქიზიყელები ხმარობენ და სწორედ ქიზიყიდან გადმოსახლებულმა ტიგინაშვილებმა შემოიტანეს ხმარებაში. "თაქლა" ნიშნავს მოუფიქრებელს, პირში მთქმელს, ამაყს, რომელიც მოუფიქრებლად სიმართლეს პირში მიახლის მოპაექრეს.

სათივარა

მდინარე თვალთხევის სათავე აუზიდან წყალგამყოფ შემაღლებიდან, რომელსაც გადმოკვეთდა "ლაფიან ხევის" აუზიდან ამომავალი თელავისკენ მიმავალი გზა, "სათივარა" ეწოდება. აქ მდებარეობს ნაყოფიერი სუბალპური ველები, რომელიც უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ქართველი ტომებით დასახლებულ სოფელს. ამის დამადასტურებელ ნიშანს წარმოადგენს პატარა, ბაზილიკური ტიპის ეკლესია და ის აუარებელი ნასახლარები და სამაროვანნი, რომლებიც აქ გვხვდება.

"სათივარა" მეოცე საუკუნის 50–იან წლებამდე სასოფლო–სამეურნეო თვალსაზრისით წარმოადგენდა პატარა მთის სოფელ– ჟატის კუთვნილ აგარაკ–მინდორს, სადაც ჟატელი კოლმეურნეები თესდნენ კარტოფილს, სიმინდს და სხვა სასოფლო–სამეურნეო კულტურებს, აბალახებდნენ ცხვარსა და მსხვილფეხა პირუტყვს, თიბავდნენ თივას.

2003 წლის გაზაფხულზე ვესაუბრე ჟატელ ქალბატონს–ნინოს, რომელიც ჟატიდან გამოთხოვილი იყო საგარეჯოს მკვიდრ კაკო (აკაკი) ქვლივიძეზე. მან მიამბო ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ: გასული საუკუნის 50–იან წლებში, მიწის სამუშაოების დროს ჟატელმა კოლმეურნეებმა აღმოაჩინეს ერთი ქვაყუთის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა 11 ადამიანის ჩონჩხი. სავარაუდოდ ეს მიცვალებულები ერთი ოჯახის წევრები იყვნენ და რაღაც მოარულმა ეპიდემიამ, ან მტრის მსახვრალმა ხელმა მოუღო მათ ბოლო, რაც იმაზედაც მეტყველებდა, რომ უხსოვარ წარსულში აქ ხალხმრავალი სოფელი ყოფილა. ისე, აქ ეკლესიას არავინ ააშენებდა. ნამოსახლარები მრავლად შეინიშნება წყალუხვ თვალთხევის მთელ უბანში. სხვადასხვა დროში და ეპოქაში აქ უცხოვრიათ ამაყ, ულამაზეს, მშრომელ და თავმოყვარე ქართველებს, რომლებიც იცავდნენ სამშობლოს, ქმნიდნენ ხვავსა და ბარაქას, ედემის ბაღად აქცევდნენ ბარაქიან ხეობას.

ქალბატონმა ნინო თურმანაულმა ის საგვარეულოებიც ჩამომითვალა, ვინც აქ ცხოვრობდნენ გასული საუკუნის 50–იან წლებში. აი, ისინიც: გიგაურები, წითელაურები, ბეწუკაშვილები, თურმანაულები, ხადულაშვილები, ფეტვიაშვილები, ბადრიაშვილები, პატარაშვილები, კეკერაშვილები, თიღილაურები, დიღმელიშვილები, ღვთისიაშვილები.

ამ პატარა სოფლის–ჟატის კუთვნილი სავარგულები იყო სათივარა, მლაშე ველი, საღორეები,პატარა მინდორი ხაჯაგები, ზედა მთა, სახაშმო, სამების ნაწილი, ნაქალაქარი. თავად ნასოფლარი– ჟატი დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა–ფშაველას ინიციატივით იყო ჩამოსახლებული მცირე მიწიან ფშავიდან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს სოფელი მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან ძალით იქნა გადასახლებული სართიჭალის, ხაშმის და სამგორში დასახლების ახალ სოფლებში.

მელიქაშრი

წყალუხვი მდინარე თვალთხევის აუზის ნასოფლარია მელიქაური. იქ, სადაც თვალთხევის აუზის ორი შენაერთი შტო ერთმანეთს ერთვის, ამ ხერთვისს საკმაოდ მოზრდილი ტაფობი ყოფს შუაზე. დაუკვირვებელი თვალი აქ მხოლოდ ტყე-ბუჩქნარს შენიშნავს, მაგრამ ეს პატარა მიწის ნაჭერი, რომელსაც უფროსი თაობის ხალხი მელიქაურს უწოდებს, სულაც არ არის უბრალო ტყიანი ტაფობი-აქ ოდესღაც ხალხი ცხოვრობდა და სიცოცხლე ჩქეფდა. აქ არქეოლოგიური გათხრ

რები არასოდეს არავის არ უწარმოებია,მაგრამ, დაკვირვებული თვალიც კი შეამჩნევს ნამოსახლარებს, ქვითკირის ნაშთებს. აქ ხანდახან წყალდიდობის დროს ღვარცოფი ადამიანის ნახმარ საყოფაცხოვრებო, კერამიკის ნივთებსაც კი გამოაჩენს ხოლმე, რაც იმაზე მეტყველებს,რომ აქ ოდესღაც უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს,მერე კი ბედუკულმართი ცხოვრების გამო მიუტოვებიათ მამა-პაპეული საცხოვრისი და უკეთეს ადგილას გადასახლებულან, ანდა სულაც ბედის უკუღმა ტრიალს მოუსპია მათთვის სასიცოცხლო პირობები. საკვირველი და საცნაური ისაა, როგორ მოაღწია ჩვენამდე ამ ტოპონიმმა.

„ვაკე ტყე"

საგარეჯოდან მიმავალი, გასცდები თუ არა "მთავარ მოწამეს", ხელმარჯვნივ მიმავალ ტყის გზას, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის გავლის შემდეგ ნახავთ ძველისძველი ეკლესიის ნაშთს, რომელსაც საგარეჯოელები "წმიდა გრიგოლის" ნაეკლესიარს უწოდებენ. ტყის სიღრმეში შესული ადამიანის თვალი უამრავ ნამოსახლარს შენიშნავს,რომლებიც საუკუნეების მანძილზე ტყეს დაუფარავს. ტყის რელიეფიც ისეა მოსწორებული, რომ ყველა მიხვდება–აქ ოდესღაც მოზრდილი სოფელი ყოფილა. ეს მიდამო საგარეჯოს მინდვრებიდანაც კარგად მოჩანს, ხალხი ამ ტყეს "ვაკე ტყეს" უწოდებს.

არავინ იცის, აქ არსებულ სოფელს რა ერქვა, ან როდის მოისპო იგი და ადამიანთა მეხსიერებიდან როდის ამოიშალა, რა მატერიალური საშუალებებით სულდგმულობდა ეს სოფელი, უბრალო თვალითაც მიხვდება გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელიც იქვე, მახლობლად, ტყის ხეთა ფოთლების ჩრდილსა და ბუჩქნარში შემალული წყლის ნაჟური ამ სოფლის მასაზრდოებელი წყაროს კოდი იყო. როდის მოისპო, ან რამ მოსპო ოდესღაც აღორძინებული სოფელი, როდის დაისადგურა აქ ტყის მდუმარებამ, არავინ უწყის...

1399 წელს საქართველოს მეხუთედ შემოესია ქართველთა მოძულე თემურ ლენგი. ზამთარი იყო და ხალხი არ მოელოდა თურმე მტრის შემოსევას. თემურ ლენგმა შეარჩია ჯანმრთელი, 20–25 წლის უზბეკი მეომრები და პირდაპირ წამოვიდა საქართველოს გასანადგურებლად ზამთრის მყუდროებაში–35 ათასიანი ლაშქრით. მოადგა გარე კახეთს. გადაუღებლად თოვდა 20 დღის განმავლობაში და თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს გადააჭარბა, მტრის შემოტევის მარშრუტი ყარაბაღზე გადიოდა და გარეჯის ხრიოკი მიდამოებით პირდაპირ გარე კახეთისკენ იყო მიმართული. ჩვენ პირდაპირი საარქივო მასალები არ მოგვეპოვება ქართულ ენაზე და ვეყრდნობით თემურ ლენგის ისტორიკოსის ცნობებს. მტერმა თავის გამანადგურებელი მეხუთე შემოსევის მარშრუტი იმიტომ შეარჩია უშუალოდ თბილისის აღმოსავლეთით, რათა თბილისისათვის მოესპოთ მოსახლეობის დამცავი და მკვებავი რეგიონი და იგი უდაბნოდ ექცია. თემურ ლენგის ისტორიკოსის დღიურებში ვკითხულობთ, რომ მტრის მიზანი იყო მჭიდროდ დასახლებული დაბა–სოფლები მთლიანად დაენგრია, გადაეწვა, ხოლო ბაღ–ვენახები– ამოეძირკვა. მტერმა კარგად იცოდა, რომ ქართველები ლხინშიც და ჭირშიც უდვინოდ და უხილოდ პურს არ ჭამდნენ. ამიტომაც უნდოდა აყვავებული გარე კახეთის უდაბნოდ ქცევა. გარდა ამისა, თემურ ლენგის დაზვერვამ კარგად იცოდა, რომ საქართველოს მეფეს აქ ეყენა თავისი საუკეთესო ჯარი მთავარსარდალ ვინმე ხიმშიას სარდლობით და ეს ჯარი უნდა მოესპო პირველ რიგში– მოულოდნელი დარტყმით. თემურ ლენგმა თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და თავისი სისასტიკით იავარქმნილი მხარე დატოვა გაძარცული, გაპარტახებული და ქართული არქივებიც ისე მოსპო, რომ არავის სცოდნოდა აქ არსებული დაბა–სოფლების სახელებიც კი.

თუ რა ერქვა "ვაკე ტყეზე" გაშენებულ სოფელს, არავინ იცის, მხოლოდ დანგრეულ ნაეკლესიარს შემორჩა ამ წმინდა ადგილის სახელი "წმიდა გრიგოლი", დანარჩენი კი დავიწყების ულმობელმა ბურუსმა შთანთქა...

თვალთხევი

საგარეჯოს ძველად "თვალი" ერქვა. დღეს საგარეჯოს ძველ სახელს იმ დიდი ხეობის სახელი გვახსენებს, რომელიც საგარეჯოს ორ ნაწილად ჰყოფს–თვალთხევი. მის კალაპოტში მომდინარე, იმავე სახელწოდების მდინარე იმდენად წყალუხვი ყოფილა, რომ ათეულობით წისქვილს ამუშავებდა მისი წყალი თევზითაც უხვად ამარაგებდა საგარეჯოს მოსახლეობას, ზაფხულში სამჯერადად რწყავდა ბაღჩა–ვენახებს, ხეხილის ბაღებს.

მდინარე თვალთხევიდან გამომდინარე ნაკადულები ულამაზეს და ეგზოტიკურ გარემოს უქმნიდა ბაღ–ვენახებში ჩაფლულ, წითელი კრამითით გადახურულ ოდა–სახლებს, ერთიან ბაღნარად ქცეულ მიწიერ ედემად აქცევდა დაბა–სოფელს.

ისტორიული წყაროები მე–18 საუკუნემდე სოფელს თვალს უწოდებდნენ, რაც სულხან–საბა ორბელიანის განმარტებით წყლის სათავეს და სილამაზის სინონიმსაც ნიშნავდა, ხოლო შემდეგ სოფელს სახელი შეეცვალა და საგარეჯო ეწოდა, ნიშნად დავით გარეჯის უდიდესი კომპლექსის საკუთრებისა და "თვალი" თანდათან დავიწყების ბურუსში ჩაიძირა, მხოლოდ მდინარის ხეობას და ერთ სამლოცველოს "თვალწმიდა გიორგისდა" შერჩა ეს სახელი.

მდინარე "თვალთხევი" შუაზე ჰყოფს საგარეჯოს,ამიტომ "თვალთხევის" მარჯვენა სანაპირო გაღმაუბნად იწოდება, ხოლო მარცხენა–გამოღმა სანაპირო –საგარეჯოდ. მდინარე "თვალთხევი" თავისი აუზით ერთ–ერთი დიდი და გრძელი მდინარეა მთელ გარე კახეთში, რომელიც სათავეს იღებს ცივ–გომბორის მთებში და უერთდება გარე–კახეთის დედა მდინარეს–იორს.თვალთხევს ორი სათავე აქვს. ერთი შტო სათავეს იღებს ასევე ცივ–გომბორის მთებში, ე. წ. "დათვის საცხვრეში", მეორე შტო კი "ლეწინში"–ქურდოვანიძეების მთის ძირში.

ამ ორ შტოს შუა დევს "რაზიას" მთა, ამ მთების ჩრდილო მხრიდან "კისისხევის" სათავე იწყება, რომელიც მდინარე ალაზანის შენაკადია.

თვალთხევის შენაკადებია: ქობთხევი, რომელიც ფშავლის ნადგომრებიდან გამოდის. ქობთხევს მეორე პატარა ხევიც ერთვის და ორივე ეს ხევი თვალთხევს ერთვის მარჯვენა მხრიდან.

ბებერი კლდის მხრიდან გამოდის და მახიასთან ერთვის თვალთხევს ერთი პატარა ხევიც მარცხენა მხრიდან.

თვალთხევი ძველთაგანვე წყალუხვი მდინარე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც საგარეჯოს მოსახლეობა გაიზარდა და კომუნალური მეურნეობაც ქალაქის ტიპის მეურნეობად გადაიქცა, თვალთხევის შემდინარე წყაროები კომუნალური მეურნეობის საკუთრებად, თვალთხევი კი მშრალ ხევად იქცა. მასში წყალი მხოლოდ ზამთარსა და გაზაფხულის უხვნალექიან პერიოდში თუ მოედინება.

თვალთხევს ძველთაგანვე კვებავდა მთის პატარ-პატარა წყაროები,მაგრამ მისი მთავარი მკვებავი არის ტყე-პარკ "სათავიდან" და გაზაფხულობით მახიაზე გამომდინარე წყალუხვი, დიდი დებეტის მქონე წყაროები.

რაც შეეხება გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ ნახევარში მოსულ დიდ წვიმებს, ისინი ისე "განრისხდებოდნენ" ხოლმე, რომ მისი სანაპიროები ვეღარ იტევდა მთებიდან გამომდინარე ღვარცოფიან თქეშს, რომ აქ მცხოვრებ მოსახლეობას დიდ სტიქიურ უბედურებად ატყდებოდა თავზე. ხალხის ხსოვნამ და ისტორიულმა წყაროებმა შემოინახა გარეჯული ქრონიკები, როცა განრისხებულმა თვალთხევმა დიდი უბედურება დაატეხა მის ორივე სანაპიროზე მცხოვრებ მოსახლეობას. ეს თარიღები 1883 და1895 წლებში ფართოდ ასახა მეცხრამეტე საუკუნის ისეთმა გაზეთებმა, როგორიც იყო დიდი ილიას "ივერია" და საქვეყნოდ ცნობილი "დროება". აქ მცხოვრები ასეულობით კომლი გლეხობა აიყარა და უფრო უსაფრთხო ადგილებზე დაიდო ბინა.

მდინარე თვალთხევს გაღმაუბანში მარჯვენა მხრიდან ერთვის საკმაოდ აბეზარი შენაკადი–"ტოპეშაურასხევი", რომელიც სათავეს იღებს წმიდა შიოს და წმიდა ილია წინასწარმეტყველის მთიდან. თვით "ტოპეშაურასხევს" ერთვის გაღმაუბანში საღორიის ანუ კოტომაანთ ხევი, რომელიც სათავეს იღებს ტოპონიმ "კოცნაძეულის" მიდამოებში. ამ შენაკადებს გარდა, თვალთხევს კვებავს "ტიკიაურა", რომელიც თვალთხევს ერთვის მინდორ "კოსტაფეს" მიდამოებში, თვალთხევის "თანამგზავრი" ღელეები იყო "დოდოს ჭალა", "ლეკიაურა" და სხვა ღელეები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობამ დაჯაბნა და თავის საკარმიდამოებად გადააქცია. ისე კი, როცა ბუნება "განრისხდება" ხოლმე და გადაუღებელი წვიმები თავს აიწყვეტავს, ქალაქის ბუნებრივი კონფიგურაცია ერთიან ხეობად გადაიქცევა ხოლმე.

როცა სტიქია აბობოქრდება, თვალთხევს "მხარს აუბავს" ხოლმე მისი აბეზარი მეტოქე "წიფლის ხევი", რომელიც სათავეს იღებს ასევე, ცივ–გომბორის მთებში, ცივ–კოდის მიდამოებში. თურმე, ყოფილა შემთხვევა, როცა სტიქიის გამო ისე მომხდარა, რომ ეს ორი ხეობა გაერთიანებულა და საკმაოდ დიდი ზარალიც მიუყენებია საგარეჯოსათვის.

წიფლის ხევი

ქალაქ საგარეჯოს გეოგრაფიული მდებარეობა თავისი გეოლოგიური კონფიგურაციით ყოველთვის ქმნის დიდ საშიშროებას წყალდიდობების დროს. ხშირად ქალაქის კეთილმოწყობილი ქუჩები მას რიყეებად უქცევია, რის გამოც მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი განუცდია. მდინარე წიფლისხევი თვალთხევის შემდეგ ერთობ აბეზარი და მოულოდნელობებით აღსავსე მდინარეა საგარეჯოელებისათვის. იგი სათავეს ცივ-გომბორის მთისწინეთში, საგარეჯოელთათვის კურორტად ქცეულ "კოდას" სამხრეთის ფერდობებზე იღებს სათავეს. წიფლისხევის კალაპოტი გვალვიან ზაფხულში მშრალ ხევად იქცევა ხოლმე, სამაგიეროდ, გაზაფხულის წვიმიან ამინდებში მას ვეღარავინ სცნობს-გიესა და გადარეულს.

წიფლისხევი მიედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გვერდით გაუვლის აგარაკ კოკონაურს, ლაპრიანსა და ნასადგომარს, გადაკვეთს კახეთის რკინიგზას და მდინარე იორს მიერთვის აგარაკ ყორუღთან.

ტიკიაურა

ქალაქ საგარეჯოში გამავალ ხევებს შორის ერთ–ერთ "აბეზარ" ხევს წარმოადგენს ტიკიაურა, რომელიც სათავეს იღებს ქალაქის ჩრდილოეთით, "მთავვარმოწამის" ქვემოთ, ქურხულების სასაფლაოსა და "წმინდა მარინეს" ეკლესიის ბოლოს. შემდეგ გაივლის "ნაცვლიაანთ გორასა" და "ქვლივიძეების უბანს"შორის და გაემართება ქალაქის ცენტრისაკენ, გადაკვეთს დავით აღმაშენებლის ქუჩას, ჩაივლის ჭავჭავაძის, კახეთის ქუჩებს, გადაკვეთს რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზატკეცილს და გეზს "კოსტაფისკენ" აიღებს.

საინტერესოა ტოპონიმ "ტიკიაურას" ეტიმოლოგიაც, რომელიც ხეობის ადიდების დროს დაერქვა. ადიდებულ ხევს თან მოჰქონდა ერთ–ერთი ოჯახიდან მოტაცებული ღვინით სავსე ტიკი... თუ ადრე ტიკიაურა ადიდების დროს დიდ ზიანს აყენებდა საგარეჯოს, ახლა ბეტონის არტახებშია ჩამჯდარი, მოთვინიერებულია და როგორი წყალდიდობაც არ უნდა იყოს,მშვიდად არის ქალაქის მოსახლეობაც.

ლეკიაურა

ვატარა ღელე ლეკიაურა მოიცავს ქალაქის გულისაშვილისა და ნაწილობრივ ქეთევან წამებულის ქუჩების ტერიტორიას და ხშირი წვიმების დროს ახსენებს თავს მოსახლეობას. ადრე, ვიდრე საგარეჯო ფართოდ განაშენიანდებოდა, აქ მხოლოდ ტყე-ბუჩქნარი იყო და ლეკიანობის დროს ლეკების სამალავს წარმოადგენდა, სადაც საგარეჯოსა და გიორგიწმინდის გასაყარზე ძნელბედობის დროს ლეკები იმალებოდნენ და იტაცებდნენ საგარეჯოელ და გიორგიწმინდელ გოგო-ბიჭებს. ლეკიაურა ახლა ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სავაჭრო და კულტურული ცენტრია.

„ბებერი კლდე"

საგარეჯოს სამხრეთიდან შეხედავ თუ არა თვალთხევის დიდებულ ხეობას, საგარეჯოს ჩრდილოეთიდან ტყით შებურულ გორაკებში თავზე ლამაზი გვირგვინივით ადგას ტყის სამოსში გახვეული კლდე, რომელსაც მართლაც თავისი ხნოვანების გამო ხალხი "ბებერ კლდეს" ეძახის.

"ბებერ კლდეზე" მრავალი ლეგენდაა შეთხზული. იგი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა საგარეჯოელთა სპორტული გართობისა და სანადიმოდ თავშეყრის ადგილს.

"ბებერ კლდეს" უკან მხრიდან დასდევს ერთი დამრეცი, ტყიანი ადგილი, რომელიც უწინ ერთგვარი სპორტული შეკრების საასპარეზო იყო. უპირველეს ყოვლისა, ცხენებით ჯირითის დროს.

ჰუნეებზე ამხედრებული ჭაბუკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო სწრაფად – მოწყვეტით შეაჩერებდა ცხენს კლდის პირზე.

არსებობს ასეთი თქმულება იმის შესახებ, რომ ოდასღაც საგარეჯოში (თვალზე) ცხოვრობდა ერთი საუკეთესო მოჯირითე მზეჭაბუკი, რომელიც ცხენოსანთა შეჯიბრების დროს ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ერთ–ერთი შეჯიბრების დროს მზეჭაბუკს სანაძლეო ჰქონდა დადებული თავის მოწინააღმდეგესთან. ამ პირობის თანახმად, მზეჭაბუკს თავისი გაჭენებული ჰუნე კლდის პირამდე უნდა მიეყვანა, ჰუნე უკანა ფეხებით კლდეზე ყალყზე შემდგარი სწრაფად უნდა შემოებრუნებინა და უკანვე გამოეჭენებინა. მზეჭაბუკმა მოიგო ის შეჯიბრი, მაგრამ მოშურნემ შარი მოუდო–ეს ფანდი უჯერო იყო. დაინიშნა ახალი შეჯიბრი და როცა მზეჭაბუკმა შეჯიბრი მოიგო და მისი ცხენი უკანა ფეხებით ყალყზე იყო შემდგარი, დაიქუხა თოფმა და მზეჭაბუკი ცხენიანად უფსკრულში გადაიჩეხა.

ცივ – კოდას „საძილე"

გარეჯული ლეგენდებიდან კიდევ ერთი ლეგენდაა დაკავშირებული ცივ–კოდას ღირსშესანიშნაობებთან. ერთი მათგანი ეხება ე. წ. "ცივ – კოდას" "საძილეს", რომელიც წარმოადგენს ცივ – გომბორის მთებთან "ცივ – კოდას" დამაკავშირებელ საცალფეხო ბილიკს, რომელიც საკურორტო სეზონზე ყველა ხელმარჯვე დამსვენებლისათვის სპორტული შეჯიბრის ადგილს წარმოადგენს. ეს საცალფეხო–ცულისპირა ბილიკი იწყება კურორტის დასავლეთის მხრიდან და მიემართება კურორტის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და მთავრდება ცივის მთის დაკბილულ კლდემდე, მისი სიგრძე დაახლოებით ერთი კილომეტრია და სპორტული თვალსაზრისით სახიფათოა მისი გადალახვა. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით წარსულში, "ლეკიანობის" დროს ეს ვიწრო გასასვლელი დაღესტნელ მარბიელ ლეკებს გამოყენებული ჰქონდათ გარეჯელი გოგო–ბიჭების მოსატაცებლად და ამ ბილიკით, ცივ–გომბორის მთების გავლით დაღესტანში გადასაყვანად.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ–კახეთის მეფე ერეკლე მეორის შვილმა ლევან ბატონიშვილმა ლეკების ბანდიტური ქმედებების ასალაგმავად საგარეჯოში მარჯვე ჭაბუკების რაზმი ჩამოაყალიბა,რომელსაც სათავეში საგარეჯოელი ვაუკაცი ქვლივიძე ჩაუყენა, მეტსახელად–"ბაუჯა". ბაუჯამ შეკრიბა ქვლივიძეების, ქურხულების და თოლომასვილების მარჯვე ჭაბუკებისგან მებრძოლი რაზმი და უვნებელყო მოთარეშე ლეკთა ბანდები. მართალია, ბაუჯა ღალატის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მადლიერმა გარეჯელებმა უკვდავყვეს მისი სახელი. ახლაც ქ. საგარეჯოს ზემოუბანში არსებობს ბაუჯას სახელობის ქუჩა და მადლიერი საგარეჯოელები ამ სახელს ზოგიერთ ახალდაბადებულ ყრმას ბაუჯას სახელს არქმევენ. "საძილე" კი საპატიო ტოპონიმი ჩვენი ქალაქისა.

12 • • •

ლაპრიანი

დასასრული

ლეთიდან-"კოსტაფე" და "გამწვანება".

ლაპრიანში, გარდა მოსახლეობის ბადჩა–ვენახებისა, ხეხილის ბაღებისა და ვენახებისა, გარკვეული ფართობი დაკავებული აქვს საგარეჯოს სატყეო მეურნეობის კაკლისა და სხვა ნაყოფიერი ტყის ჯიშების კორომებს.

ლაპრიანი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის 10-იან წლებამდე წარმოადგენდა ერთიან სასოფლო –სამეურნეო სავარგულს, მაგრამ კახეთის რკინიგზის მშენებლობის დაწყებისას 1912–1914წლებში თითქმის შუაზე გაიყო და რკინიგზის მშენებლობის დასასრულისათვის აქ წარმოიშვა საკმაოდ მოზრდილი მუშათა დაბა–დასახლება, რკინიგზის სადგურ "საგარეჯოს" ირგვლივ დასახლდნენ აქაური მშენებლობის უბინაო მუშა–მოსამსახურეები და რკინიგზის სადგურის თანამშრომლები და სპეციალისტები. აქვე განლაგდა რკინიგზის ინფრასტრუქტურა, სასაწყობო და სავაჭრო ობიექტებით.

ლაპრიანის ისტორიაში დიდი მოვლენა იყო ქვემო სამგორის გრანდიოზული სარწყავი ქსელის მშენებლობა 1961–70-იან წლებში, სადაც ბინა დაიდო "წყალმშენის" ქვემო სამგორის მეხუთე სამშენებლო–სამონტაჟო სამმართველომ, რომლის ბაზაზედაც რკინიგზის საგარეჯოს სადგურის მიმდებარე "ნასადგომარის" ტერიტორიაზე წარმოიშვა მშენებლობის მუშათა დაბა–დასახლება თავისი რთული და მრავალსახოვანი ინფრასტრუქტურით. ლაპრიანის ტერიტორია გადაკვეთა ქვემო სამგორის სარწყავი ქსელის მარცხენა მაგისტრალურმა არხმა თავისი სატუმბავი სადგურებით, რომელმაც გაასარწყავა საგარეჯოსა და გიორგიწმინდის 500 ჰექტარზე მეტი მიწა.

ლაპრიანს უდიდესი ისტორიული წარსულიცა აქვს. აქ მიწის ღრმა ხვნისა და მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა უმდიდრესი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მაუწყებელნი არიან იმ დიდი ისტორიული წარსულისა, რასაც ლაპრიანის მიწა ინახავს თავის წიაღში . აქ მიწის ღრმა ხვნის დროს გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩნდა ყორღანული სამარხი, რომლის ხნოვანობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის შუა წლებით თარიღდება.

"ლაპრიანი" ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და სულხან–საბა ორბელიანის "სიტყვის კონას" განმარტებით სიტყვის ძირი "ლაპრი", იგივე მუხას ნიშნავს, რაც იმას გვაუწყებს, რომ აქ უწინ მუხის ტყეები ყოფილა.

საგარეჯოს რაიონში აგარაკ "ყორუღის" მიმდებარე ტერიტორიაზე ლაპრიანის მსგავსი ტოპონიმი "ლაპრებიც" გვაქვს, რომელიც გიორგიწმინდის სასოფლო თემის საკუთრებაა. ეს ტოპონიმიც მუხიდან წარმოდგება, რასაც ადასტურებს "ყორუღის" მუხნარი ტყე.

„სახოხბის ჭალა"

ქალაქ საგარეჯოს მრავალ ღირსშესანიშნავ ტოპონიმთა შორის თავისი რომანტიკული სილამაზით გამოირჩევა მდინარე იორის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ბუნების ძეგლი „სახოხბის ჭალა".

თვითონ ტოპონიმის სემანტიკა მიგვანიშნებს რომ ეს ადგილი ოდითგანვე ყოფილა ბუნების უიშვიათესი ქმნილების – ხოხბების საუფლო. ამ მიდამოს ამშვენებს ერასტოს მუხა, რომელიც ასევე ბუნების უიშვიათეს ძეგლს წარმოადგენს თავისი დევივით გაშლილი ასწლოვანი ტოტებით.

ლეგენდები და თქმულებები ამ მითიური ჭალის შესახებ იქმნებოდა და სამარადჟამოდ უკვდავყოფდა მის სახელს. აი, თუნდაც ერთი ისტორიული ქრონიკა, რომელიც შემოგვინახა ისტორიულმა ფოლიანტებმა XVII საუკუნიდან.

მოსახლეობის მუდმივ აოხრებაზე და დასახლების ხელახლა შენებაზე მრავალ მასალას იძლევა დავით გარეჯის, ე.ი. ნინოწმინდელის სამწყსოში შემავალი მონასტრის საბუთები. ერთ მათგანში, რომელიც თარიღდება 1651 წლით. როგორც ამ საბუთიდან ჩანს XVII საუკუნის ტრაგედია (შაჰ-აბასის შემოსევები) ისე აურია აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მფლობელობისა და მიწათსარგებლობის კანონები, რომ დავით გარეჯის კუთვნილი მამულები შეცილების საბაბი გამხდარა საგარეჯოელთა (თვალელთა) და ნინოწმინდელთა შორის, რის გამოც ქართლ-კახეთის მეფე როსტომი (1632-1658წწ) იძულებული გამხდარა კომისია შეექმნა ამ სადაო საკითხის გადასაწყვეტად. მაშინ ნინოწმინდის კათედრალის მთავარეპისკოპოსი ყოფილა ზაქარია მაყაშვილი, ხოლო საგარეჯოს სამოურაოს გამგებელი ლეგენდარული სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი. „სახოხბის ჭალაზე" ცილობა ჰქონიათ როგორც ნინოწმინდელებს, ისე საგარეჯოელებს. ამ სადაო საკითხში ჩარეული ყოფილა მცხეთის კათალიკოსიც, ვინაიდან დავით გარეჯის კუთვნილი მამულები ერთობლივი მართვისათვის ჯერ კიდევ XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის მიერ გადაცემული იყო მცხეთის საკათალიკოსოსათვის.

როსტომ მეფის მიერ შექმნილ კომისიაში შეყვანილი იყვნენ როგორც ნინოწმინდელის, ისე თვალის მცხოვრებთაგან დამტკიცებული კაცები, ხოლო ფიცის მსვლელობისათვის ზედამხედველობისათვის კონტროლი უნდა გაეწიათ მცხეთელ რწმუნებულებს.

აი, როგორ გადმოგვცემს სახოხბის ჭალის დამფიცებელთა პროცესს ზემოაღნიშნული საბუთი:

„და შემოეყარნენ ერთობილნი თვალელნი და აისვენეს ხატი წმიდის ნინოსი და წაგვიძღვნენ სახოხბის ჭალას და ქვემო საცილობელი იყო კარგა გზის ქვემოთ და დავდექით საცილობელ ალაგზე და სადამდისაც ცილობდნენ და დაიფიცა გულბათიშვილმა და ერთობით თვალელთა, და ამოიარეს და დაიფიცა დრეიძემ ბეჟიტამა და მივედით და შუაზედა და დაიფიცა ეთიბერას შვილმა, და მივედით ნაწისქულელთანა და ორმა ქურუხულმა, და მოვედით თავსა ხევის პირსა და დაიფიცეს ერთობით თვალელთა და სულ სახოხბის ჭალა ასრე გამოიფიცეს, რომე მკვიდრად და შეუცილებლად სვეტისცხოველსა და თვალური იყოს და ასრე გავსამართლდეთ და გადასწყვიტეთ, რომე ვერა ნინოწმინდელი, ვერა მისი ყმა ვერ შემოეცილოს სახოხბის ჭალასა".

თავის დროზე ფიცს სავსებით დაურწმუნებისა მოსამართლენი ჭალა თვალელთათვის მიუკუთვნებიათ, კათალიკოსი ქრისტაფორე კრულვასაც კი უთვლის გადაწყვეტილების დამრღვევთ (ისტორიული საბუთები, IV თბილისი, 1913წ გვ 33-34).

„სახოხბის ჭალაზე", ამ მითიურ სამოთხეზე ცილობის, დავის მხოლოდ ერთი დოკუმენტი მოვიყვანეთ, მრავალი კი უკან არის.

ამ მადლიან მიწას სხვა დროჟამზედაც მრავალი ისტორიული ფაქტი დაუფიქსირებია, რაც მეტად საინტერესოა გახსენება, თუნდაც ქართლ-კახეთის ლეგენდარული მეფის ერეკლე II საიდუმლო შეხვედრა 1789 წელს ოსმალეთის ელჩთან ახალციხის ფაშასთან. სწორედ „სახოხბის ჭალა" იყო ის ფარული ადგილი, რათა რუსეთის წარმომადგენელს თბილისში არ შეეტყო ამ ფარული შეხვედრის შესახებ.

კიდევ მრავალი შეხვედრა დაფიქსირებულა ლეგენდარული ასწლოვანი მუხის ტოტების ქვეშ.

ახლა კი „სახოხბის ჭალა" უპატრონობით გაძარცულ-გაპარტახებული უღიმღამოდ თვლემს თავისი სახელოვანი წარსულის მოგონებებში.

14 • • •

ხატიკაკლები

ხატიკაკლები

პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია საბარეჯოში



თვალწმინდა გიორგის სახელობის ეკლესია